შევინარჩუნოთ თამაშის ეს დონე

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 10 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) - “ნეფტჩი” (ბაქო) 4:0 (2:0).

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი (კანთელაძე), რეხვიაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, სიჭინავა (კუტივაძე), ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

“ნეფტჩი”: კრამარენკო, ლიოგკი, ა. ბაბაევი, ი. ბაბაევი (ბოგდანოვი), ¿??, სემიგლაზოვი, ტუაევი (ტროფიმოვი), გაჯიევი, ბანიშევსკი, ¿??როვი, სტეკოლნიკოვი.

მსაჯი ვ. რუდნევი (მოსკოვი).

“ნეფტჩი” სულ სამი წელია, რაც ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდების ¿?? შეუერთდა და, როგორც იტყვიან, ჩვენს თვალწინ ისწავლა თამაში. ბაქოელები უმაღლეს ლიგაში მოხვდნენ არა იმით, რომ გარკვეულ შეჯიბრებებში მოპოვებული გამარჯვებებისთვის მიიღეს ეს უფლება. ყველას ახსოვს ის რეფორმა, რომელიც 1960 წელს მოხდა საბჭოთა ფეხბურთში. სწორედ ამ რეფორმის მეოხებით გაიზარდა დიდი ფეხბურთის გეოგრაფია და მისი შემადგენელი წევრი გახდა ბაქოს საუკეთესო?? გუნდიც.

დასაწყისი ბუნებრივი იყო: “ნეფტიანიკი”?? როგორც წესი? ადგილებს აუტსაიდერთა შორის იკავებდა და “ა” კლასის I ჯგუფში სული კბილით ეჭირა. მაგრამ გავიდა დრო და გუნდში თავი მოიყარეს ნიჭიერმა, პერსპექტიულმა ფეხბურთელებმა, მიიწვიეს გა??? სპეციალისტები, ბაქოს სპორტულმა ორგანიზაციებმა არაფერი და??? და 1966 წელს “ნეფტიანიკი” საკავშირო ჩემპიონატში III საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა. მას შემდეგ გუნდი ინარჩუნებს მაღალ პრესტიჟს და მისი რამდენიმე მოთამაშე სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრია.

აი, ასეთია, ძირითადად, “ნეფტჩი”, რომელიც 10 აგვისტოს მიიღო შინ თბილისის “დინამომ”. მართალია, ამ ორი გუნდის შეხვედრათა ისტორიაში თბილისელ ფეხბურთელებს დიდი უპირატესობა აქვთ, მაგრამ თანდათან, თითქმის შეუმჩნევლად, “ნეფტჩის” შეხვედრებმა დინამოელებთან პრინციპული ხასიათი მიიღო. ყოველ შემთხვევაში, წლევანდელი გათამაშების პირველ წრეში ბაქოელებმა თავიანთ ქალაქში 2 ქულა აიღეს “დინამოსთან” თამაშში.

მატჩისწინა პროგნოზები ასეთი იყო: თბილისელებს გარკვეული უპირატესობა უნდა ჰქონოდათ, ვინაიდან “ნეფტჩი” ძალიან უხეიროდ თამაშობს სტუმრად. თავად განსაჯეთ: ბაქოელთა საერთო აქტივიდან შინ ჩატარებულ 13 თამაშში აღებულია 17 ქულა, ხოლო მეტოქეთა მინდვრებზე - 8 თამაშში სულ 3? ქულა. ცხადია, თუ გუნდი გასვლაზე 16 შესაძლებლობიდან 13-ს კარგავს, მისი წარმატებანი კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დავაყენოთ, თუმცა ბაქოელთა ამ უსიხარულო პერსპექტივას საგრძნობლად ანეიტრალებდა ის გარემოება, რომ თბილისის “დინამომ” ბოლო მატჩებში მოულოდნელად ერთობ უკლო თამაშს. ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას მისი გამოსვლები კუიბიშევში, სვერდლოვსკში, ქუთაისში და საკუთარ მინდორზეც - როსტოვის არმიელებთან.

მაგრამ დაიწყო მატჩი და ამ წინასწარი ვარაუდიდან არ დარჩა ნატამალიც კი. ყველაფერს, რაც მინდორზე ხდებოდა, დინამოელთა აშკარა და უდავო დომინირების ხასიათი ჰქონდა. “ნეფტჩის” თავდასხმა ყოველგვარი მანევრების საშუალებას მოკლებული აღმოჩნდა, უამისოდ კი ამ გუნდს არაფერი შეუძლია. მასპინძელთა დაცვა ერთი თავით მაღლა აღმოჩნდა მეტოქეზე. ბანიშევსკის ერთობ სწორხაზობრივი, ერთფეროვანი რეიდები მაშინვე იქნა აღკვეთილი ხურცილავას

მიერ, რეხვიაშვილმა სწრაფად შეძლო ჩამოეცილებინა მარქაროვისთვის დისპეტჩერის ფუნქციები, ხოლო ძოძუაშვილმა და ცხოვრებოვმა გაჯიევს და ტუაევს წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვეს.

შუა მინდორი მთლიანად თბილისელებისა აღმოჩნდა. სიჭინავა (შემდგომში - კუტივაძე) -ასათიანი-პეტრიაშვილის ტრიო ძალზე მობილურად გამოიყურებოდა და არ აყოვნებდა ბურთს. მისი შეტევა სწრაფად, მოულოდნელად, ზუსტად ვითარდებოდა და თავდამსხმელებს შესაძლებლობა ჰქონდათ იერიში გაეგრძელებინათ არა შორი დისტანციიდან, არამედ მეტოქის საჯარიმო მოედნის მახლობლად.

ბრძოლა წაგებული რომ იყო, ნათელი გახდა თავიდანვე, მაგრამ ბაქოელ ფეხბურთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ უცდიათ უხეში თამაშით გამოესწორებინათ მდგომარეობა და ამით მოეხდინათ ძალთა შეფარდებაში არსებული უთანასწორობის კომპენსაცია. "ნეფტჩი" ბოლომდე სპორტულ კოლექტივად დარჩა.

თბილისელთა ხშირ შეტევებს შედეგი მალე მოჰყვა, მე-17 წუთზე პეტრიაშვილმა ფლანგიდან გადაიყვანა ბურთი მარცხნივ, მას მიუსწრო ასათიანმა და თავით გაგზავნა იგი კრამარენკოს კარში - 1:0.

ნამდვილი "ტყუპის ცალი" იყო მეორე გოლი. ბურთი ისევ მარჯვენა ფლანგზე გათამაშდა. აღმოჩნდა ზუსტად იქ, სადაც პირველ შემთხვევაში - სტუმრების კარის მარჯვენა ძელთან. გავაშელი დიდი სისწრაფით შეიჭრა საჯარიმო მოედანში და თავური დარტყმით მეორედ აიღო "ნეფტჩის" კარი - 2:0.

თითქმის არავითარი ცვლილება არ მომხდარა თამაშის მსვლელობაში შესვენების შემდეგ: "დინამო" უტევდა, "ნეფტჩი" თავს იცავდა. 51-ე წუთზე ძოძუაშვილის ერთ-ერთი მორიგი გარღვევა დამთავრდა ცენტრში გადაცემით, თითქმის ზედ კარის ხაზთან. გავაშელმა მესამე გოლი გაიტანა, ხოლო 67-ე წუთზე კუტივაძე-ასათიანის კომბინაცია მეოთხე გოლით დამთავრდა.

რა თქმა უნდა, მატჩის ბედის შეცვლა შეუძლებელი იყო და გამარჯვებულის ვინაობაც გამოცანას არ წარმოადგენდა არავისთვის, მაგრამ "მშრალი" ანგარიშისგან თავის დაღწევის რეალური შესაძლებლობა "ნეფტჩის" მაინც მიეცა, როცა თბილისელთა საჯარიმო მოედანზე წააქციეს ბანიშევშკი. რუდნევმა პენალტი დანიშნა, ხოლო მისი რეალიზება სტუმრებმა თავიანთ კაპიტანს - მარქაროვს მიანდეს.

ფეხბურთელები ამბობენ, თუ მოთამაშემ პენალტი ვერ გაიტანა, ე.ი. ცუდად დაარტყაო. ამ შემთხვევაში მარქაროვის მისამართით ამას ვერ ვიტყვით. მისი 11-მეტრიანი ყოველმხრივ კარგად იქნა შესრულებული, მაგრამ საუცხოოდ ითამაშა ურუშაძემ. მან ალღო აუღო მარქაროვის მოძრაობას, მიუსწრო ძლიერად დარტყმულ ბურთს მაღალ კუთხეში და ძელს ზევით გადაიყვანა იგი. ფეხბურთის ამ ყველაზე მძიმე "დუელში" მეკარე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე "ოპონენტი" ფორვარდი.

დაბოლოს, მცირე "ტრადიციული" რეზიუმე. თბილისის "დინამომ" მატჩი საუკეთesოდ ჩაატარა. თამაშის ეს დონე შენარჩუნებულ უნდა იქნას სეზონის ბოლომდე, ვინაიდან სულ პატარა წარუმატებლობასაც კი შეუძლია ჩვენი გუნდი რამდენიმე საფეხურით გადაისროლოს უკან, ვინაიდან III ადგილისთვის მებრძოლ გუნდებს შორის სატურნირო ცხრილში ძალზე დიდი სიმჭიდროვეა.

ბ. ქორქია.
"ლელო", 13 აგვისტო, 1968 წ.